საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია. კვირა, 8 ივნისი 1919 წ. პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით! № 125

ერთობა

ფასი 1 მან.

გაზეთის ფასი: 1 თვით 25 მანეთი, ცალკე ნომერი ყველგან 1 მანეთი. განცხადების ფასი როგორც პირველ გვერდზე, ისე მეოთხეზე პეტიტის სტრიქონი—2 მან. სამგლოვიარო განცხადება 30 მანეთი. რედაქციისა და კანტორის მისამართი: თფილისი, გოლოვინის პროსპექტი № 24.

ტელეფონი 16—62

ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა.

ქ. ქუთაისში, კვირას, 8 ივნისს (ახალი სტილით) 10 საათზე საფიჩხიის სასაფლაოს ეკლესიაზე გადახდილი იქნება ორმოცის წირვა და პანაშვიდი ძვირფას და დაუვიწყარი

ანტოშა ხაზარაძის

სულის მოსახსენებლად, რასაც გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გულდათუთქულნი მშობლები ილარიონ ანტონის ძე და გულჩინა გაიოზის ასული ხაზარაძეები შვილებითურთ (2—2)

გულ-დამწვარნი დები: ოლიმპიადა ეგნატეს ასული სანიძისა და ლიუბა ეგნატეს ასული ქეშურიასი ქმრებით და შვილებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ კვირას 8 ივნისს დიდუბის ეკლესიაში დანიშნულია წლის წირვა მათთვის ძვირფასი

ოლია არველაძის

სულის მოსახსენებლად.

გულდაწყვეტილი მშობლები ლევან და ნინო, და-ძმა მაკრინე და კოტე გომელაურები, ძალუები: კატო და ნინო გომელაურისანი, ბიძები: იაგორ და ვანო გომელაურები და მამიდაშვილი ელიკო ნაცვლიშვილისა მწუხარებით აუწყებენ მეგობრებს, ნათესავებს და ნაცნობებს, რომ კვირას, 8 ივნისს, ვერის წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში გადახდილ იქნება ნახევარი წლის წირვა და პანაშვიდი სომხებთან ბრძოლაში დაღუპული მათი ძვირფასი

მიტო (დიმიტრი) გომელაურის

სულის მოსახსენებლად.

დღეს 8 მაისს წმინდა ნინოს სასაფლაოზე, წირვის შემდეგ მიცვალებულის საფლავზე გადახდილი იქნება ორმოცი დღის პანაშვიდი

ინჟენერ ვახტანგ ზაქარიას ძე მაყაშვილის

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ დედა, მეუღლე შვილით და დები მიცვალებულისა.

კვირას, 15 ივნისს ქ. თფილისში გამოვა საქ. მუშათა პროფესიონ. კავშირთა ცენტრალური საბჭოს ორგანო, ყოველკვირეული ჟურნალი

„მუშათა ცხოვრება“

ჟურნალის მიზანი—ემსახუროს მუშათა კლასის ინტერესებს და ხელი შეუწყოს მის ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის ბრძოლაში. ჟურნალი გამოვა ორ ენაზე: რუსულზე და ქართულზე. ჟურნალში მიიღებენ მონაწილეობას პროფესიონალური მოძრაობის საუკეთესო თეორეტიკოსები და პრაქტიკოსები. ჟურნალი ეღირება ყველგან სამი მანეთი. წერილები და კორესპონდენციები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით: ქ. თფილისი, საქართველოს პროფ. კავშირთა ცენტ. საბჭო, სარედაქციო კოლეგიის მდივანს შ. ახდუშელიშვილს.

ქართული კლუბი (სასახ. ქ. № 6). პარასკევს, 6 თიბათვეს და ორშაბათს 9 ს ნაჩვენები იქნება პირველი ქართული კინემატოგრაფიული ამბები ეკრანზე: 1) **გვარდიის დღე საქართველოს დედა-ქალაქში**, 2) **დამფუძნებელ კრების გახსნის დღესასწაული**, 3) **ქრისტინე**. კინო-დრამა 4 ნაწილად გადმოკეთებული ეგნ. ნინოშვილის მოთხრობიდან. სცენარიუმი ალ. წუწუნავასი, გამოცემა გერმ. გოგიტიძისა. (3—3)

სახალხო უნივერსიტეტი

მიხეილის პროსპ. № 91.

ორშაბათს ივნისის 9, 1919 წ. საღამოს 8 ს.

ამხ. ვლ. ვოიტინსკი

გააკეთებს მოხსენებას შემდეგ თემაზე: „მუშათა მოძრაობა ომის შემდეგ“

შესასვლელი ფასი 3 მანეთი.

წმინდა შემოსავალი გადაიდება საქართველოს ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციის სასარგებლოდ.

მეზობლებთან შეთანხმება

ამიერ-კავკასიას ორი მხრიდან მოელის საფრთხე: სამხრეთიდან მოსალოდნელია ოსმალეთის შემოსევა, ხოლო ჩრდილოეთიდან რუსეთის.

ოსმალეთი იმდენად დაუძლურებულია, რომ ახლო მომავალში ის საშიში ვერ გახდება, თუ, რასაკვირველია, რომელიმე დიდი სახელმწიფოსათვის არ იქნება ის ხელსაყრელი.

დღესდღეობით რუსეთიც დაშლილია, მაგრამ მისი აღდგენა საჭიროა ზოგი დიდი სახელმწიფოსათვის, რადგან ამ გზით უფრო ადვილი იქნება რუსეთში დაბანდებული კაპიტალის ანაზღაურება. გარდა ამისა, რუსეთს შინაური ძალებიც საკმაოდ მოეპოვება, რომ ანარქია დასთრგუნოს და საკუთარ ძალებით დაამყაროს წესრიგი.

როგორც ვიცით, ორი მოწინააღმდეგე ძალა იბრძვის დღეს რუსეთში: ბოლშევიზმი და მონარქიული რეაქცია დენიკინ კოლჩაკის სახით.

ის იდეა, რომელსაც დენიკინ კოლჩაკი ემსახურებიან, ისტორიის მიერ განწირულია და ამიტომ თვითმპყრობელობის ეს ორი გმირი თუ საბოლოოდ ძლეული არა, ნახევრად განადგურებული მაინც იქნებიან, რომ გარეშე ძალა არ უწყობდეს მათ ხელს.

მაგრამ ბოლშევიკური სახელმწიფოც უძლური: რამდენათაც ლენინ-ტროცკი სოციალიზმს „ანხორციელებენ“, მათი მოქმედება ანარქიაში უნდა გამოხატული ყო, რადგან რუსეთში არ მოიპოვება სათანადო განვითარებული საწარმოო ძალები. ხოლო რამდენათ ბოლშევიზმი ხელს აიღებს სოციალიზმზე, იმდენათ ის კარგავს სოციალისტურ მიმზიდველობას და დემოკრატიის საწინააღმდეგო მოძრაობათ ხდება. ამ ნიადაგზე კი ყველაფერი შეიძლება აღმოცენდეს, გარდა დემოკრატიული წყობილებისა.

ასეთს პირობებში ამიერ-კავკასიის რესპუბლიკები მხოლოდ დამოუკიდებლობაში პოულობენ გარანტიას არა მარტო კულტურულ განვითარების, არამედ ფიზიკურ არსებობის შენარჩუნებისათვისაც. მაგრამ ამ შემთხვევაში ჩვენთვის დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ როგორ მოგვეპყრობა ევროპა და ამერიკა. ევროპა-ამერიკის სახელმწიფოებს ჩვენს ქვეყანაში დიდი ეკონომიური ინტერესი აქვთ, მაგრამ ეს კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ ისინი ჩვენი დამოუკიდებლობისათვის დიდათ შეიწუხებენ თავს: თავის ეკონომიურ ზრახვებს ისინი განახორციელებენ იმ შემთხვევაშიაც, უკეთუ რუსეთი აღადგება ძველ საზღვრების ფარგალში.

მაგრამ, როგორც ვიცით, რუსეთის აღდგენაზე ფიქრი ახლო მომავალში შეუძლებელია და დიდი სახელმწიფოები იძულებულნი გახდებიან ანგარიში გაუწიონ ყოფილ რუსეთის ნაწილების ცალკე სახელმწიფოებათ არსებობის რეალურ ფაქტს, თუ ეს ახალი სახელმწიფოები ისე მოეწყობიან, რომ მათ ტერიტორიაზე დაცული იქნება წესრიგი და მშვიდობიანობა—მთავარი დედა ბოძი ყოველი ქვეყნის წარმატებისათვის.

კერძოთ ამიერ-კავკასიას ამ მხრით უდიდესი მნიშვნელობა აქვს. დიდ სახელმწიფოებს თვალწინ უდგათ ბალკანეთის მაგალითი და მათი შიში, რომ ეს ქვეყანა არ გადაიქცეს მეორე ბალკანეთად სრულებით ბუნებრივია.

ამიტომ ჩვენი დამოუკიდებლობისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნება იმას, თუ როგორი დამოკიდებულება დამყარდება ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა შორის. ამ მხრით სომხეთის განდგომა მეტად სამწუხარო ფაქტია და არსებითად მაჩვენებელია სომხეთის საერთო საქმისადმი ღალატისა. მაგრამ საბედნიეროთ, აზერბეიჯანი მაინც ფიქრობს ჩვენთან ერთად თავდაცვის წარმოებას.

ჩვენი მთავრობა ვალდებულია გამონახოს თავდაცვის ნიადაგზე საერთო ენა მეზობელ რესპუბლიკებთან შესათანხმებლათ და საერთო ძალით განდევნოს დენიკინი ამიერ-კავკასიის საზღვრებიდან.

ეს სამხედრო თავდაცვითი კავშირი კი საფუძვლად დაედება ისეთს ურთიერთობას, რომელიც ხელს შეუწყობს ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების ეკონომიურ ზრდა-განვითარებას.

კუთხური პოლიტიკა

არის ხალხის ცხოვრებაში ისეთი მომენტები, როცა ის ხანგრძლივი აქტიური მოქმედებისაგან იღლება ფიზიკურათ, იფანტება სულიერათ, ეძლევა აპატიას და ამ ნიადაგზე ჩნდება და ძლიერდება ფსიქოლოგიური რეაქცია. ეს ხანა მეტად საშიშია ხალხის ცხოვრებაში. ასეთ მომენტებში ხალხი მუდამ ჰკარგავდა თავის უფლებებს, ხდებოდა მონათ, ისტორიის მსვლელობას გარდაუვალ დაბრკოლებებს უმზადებდა და ათეულ წლების პროგრესულ ნაბიჯებს ერთის დაკვრით ანადგურებდა. განსაკუთრებით საშიშია ასეთი მომენტები რევოლუციის ხანაში. ჩვენმა ხალხმა ამ უკანასკნელი წლების განმავლობაში იმდენი დავიდარაბა გადაიტანა, რომ უნდა გაოცდეთ, გვეშინოდა კიდეც—ვაი თუ ამ უკანასკნელი სამკვდრო-სასიცოცხლო გამოცდის დროს, როცა საჭიროა მთელი ენერგიის მოკრება, ვერ გაუძლოს, მიეცეს აპატიას და ხელის ჩაქნევით განზე გაუდგეს თავის მძიმე მოვალეობას თქო.

საბედნიეროთ ჩვენი პესიმიზმი არ გამართლდა: ის აღფრთოვანება, ის მტკიცე გადაწყვეტილება თავის დაცვისა, რომელიც გამოიწვია დენიკინის მოახლოებამ, უტყუარი თავდებია იმის, რომ ამ ბრძოლაშიაც ჩვენ გავიმარჯვებთ. მაგრამ, რომ გავიმარჯვოთ, ამისთვის საჭიროა მთელი ჩვენი ძალების ფეხზე დაყენება და ჩვენი ცხოვრების ყველა დარგის სათანადოთ მოწესრიგება.

სამწუხაროდ ამ მხრით ყველაფერი ვერ არის რიგზე. როცა ფრონტი, მიუხედავად ათასგვარი დაბრკოლებისა, მაინც კლდესავით დგას და თავის მკერდით ამაყად იფარავს ზურგს ყოველივე მოსალოდნელი საფრთხისაგან—ზურგი თითქოს მოიქანცა, დაღმართზე დაეშვა და მისი შეკავება-შეჩერება არც თუ ისე ადვილი ხდება.

ინერციამ და მექანიკურმა მოქმედებამ აღფრთოვანების და გატაცების ადგილი დაიჭირა. კოლეგიალური და მასიური შემოქმედება მისუსტდა; თითო ოროლა პიროვნება პირადი პატივმოყვარეობით თუ პირადი საქმეების მოგვარებით გატაცებული აქა-იქ ისეთ მიმართულებას აძლევს საერთო საქმიანობას, რომ ყოველივე შრომას ქვეყნის ძლიერებისაკენ მიმართულს ამაოდ ხდის და თავის კაპრალობის გაძლიერებას უფრო მეტ დროს ანდომებს, ვინემ რესპუბლიკის საფუძვლის გამაგრება-გაძლიერებას.

ცენტრალური მთავრობის განკარგულებანი, ცენტრალური მთავრობის საერთო მოქმედების გეგმა მათთვის მიუღებელია და სარგებლობენ რა შექმნილი მდგომარეობით, ქმნიან „ადგილობრივ პოლიტიკას“ და ამ პოლიტიკას უმორჩილებენ ყველა ადგილობრივ ორგანოების მოქმედებას.

სპარსეთში ყველა ხანი თავის სახანოში თავის ადათებს და კანონებს ქმნიდა, თავი შახათ მიაჩნდა და ასე ერთ ტერიტორიაზე რამდენიმე შაჰი ბატონობდა. ეს სისტემა „ქართული შაჰობის“ თითქოს ფეხს იკიდებს ჩვენშიაც და ამ ტენდენციების წინააღმდეგ ბრძოლა ერთ უმთავრეს მოვალეობათ უნდა იქნას აღიარებული ჩვენს გარდამავალ ხანაში.

ამ გარემოებას სერიოზული ყურადღება უნდა მიაქციოს დამფ. კრებამ და ცენტრალურმა მთავრობამ. საერთო მოქმედების ხაზი და გეგმა სასტიკათ უნდა იქნას დაცული რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე და ყოველგვარ კუთხურ პოლიტიკას ერთხელ და სამუდამოთ ბოლო უნდა მოეღოს.

განი.

პრესა

„ჟოღოვურდი ძაინ“ (№ 117) მოწინავე წერილში სათაურით „ჩვენი პოზიცია“, სხვათაშორის სწერს შემდეგს:

„ჩვენი გაზეთის მოწინავე წერილი „ჩრდილოეთის საფრთხე“ არ მოეწონებია გაზეთ „ერთობას“ იმით, რომ ჩვენ ვთქვით, წინააღმდეგობას ნუ გაუწევთ ინგლისს თქო.

„თქვენ, ჩვენო საუკუნო მეზობლებო, იცავთ თქვენ სამშობლოს, თქვენს თავისუფლებას, თქვენს დამოუკიდებლობას, ეს გმირული საქმე წმინდაა, როგორც თქვენთვის, ისე ჩვენთვის, და ამ ჟამად არ შეგვიძლია ფიზიკური დახმარება გაგიწიოთ, მაგრამ არ დაგიშურავთ ჩვენს ზნეობრივ დახმარებას თქვენი საქმის სასარგებლოთ ერთა სასამართლოში, რომელიც ხდება ახლა საფრანგეთის დედა ქალაქ პარიზში“.

გაზეთი აბოლავებს წერილს ასე:

„სხვა პოზიცია ჩვენი მეზობლების შესახებ ჩვენ ვერ შეგვეძლიან დავიჭიროთ და ყველა შემთხვევაში ეს ზნეობრივი გაკვეთილი ეხლანდელ მომენტში გააღვიძებს მათ და კვლავ გავლენას მოახდენს მეზობელი ერების ურთიერთ დამოკიდებულებაზე იმ ერებისა, რომლებსაც საუკუნეებით მშვიდობიანათ უცხოვრიათ ერთმანეთთან, რომლების არსებითი ინტერესები სრულებით არ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, და რომლებიც იწვიან თავიანთი ხელმძღვანელ წრეების ცეცხლით“.

„ჟოღოვურდი ძაინ“-ს პარტიას რომ შეძლება არ აქვს ფიზიკური დახმარებისათვის, ეს ვიცით, მაგრამ ასეთი დახმარება სომხის ერს ხომ შეუძლია. და რას აკეთებს ამ ერის მეთაური პარტია—„დაშნაკცუთიუნი“: მართლა გვიწევს დახმარებას?

რაც შეეხება „ჟოღოვურდი ძაინ“-ს, არც მისი „ზნეობრივი დახმარება“ უნდა იყოს გულწრფელი, რადგან ჩვენ ვთხოულობთ სომხებისაგან არა დახმარებას, არამედ—შეგნებას იმისას, რომ სომხის დემოკრატიისათვის საჭიროა ჩვენთან ერთად ბრძოლა დენიკინის წინააღმდეგ. აი ასეთი შეგნება აკლია დღეს სომხობას.

ვინც ჩვენთან არ არის, ის ჩვენი მტერია.

რა ხდება სომხეთში?

ყურადღების ღირსია ის ცნობა, რომელიც გუშინ სომხეთიდან მოვიდა. ამ ჟამად ჩვენ არ შევეხებით მომხდარი ფაქტის დაფასებას, გადავცემთ მკითხველთ მხოლოდ საქმის ფაქტიურ მხარეს.

28 მაისს, სომხეთის მთავრობის ინიციატივით დამოუკიდებლობის წლის თავის დღეს, ერივანში გამოცხადდა გაერთიანებული სომხეთის დამოუკიდებლობა, ე. ი. გამოცხადდა ყოფილი რუსეთის იმპერიის სომხებით დასახლებული ტერიტორიისა და ოსმალეთის სომხეთის დამოუკიდებლობა და გაერთიანება.

სომხეთის გაერთიანების საკითხი თავიდანვე უთანხმოებას იწვევდა მომქმედ პარტიებს შორის. ამ საკითხის გარშემო პრინციპიალური განსხვავება არ ყოფილა მათ შორის, მხოლოდ—გარდა დაშნაკცუთიუნის პარტიისა, ყველა-

ᲓᲦᲔᲡ

ინგლისური პრესის გადმოცემით საზავო კონფერენცია გერმანიის მიმართ დათმობის გზას დაადგა: წინააღმდეგია მხოლოდ კლემანსო, მაგრამ ისეთი მდგომარეობა, როგორიცაა საფრანგეთში გაგრძელებული გაფიცვა, მისი ფინანსიური სისუსტე და სხვა, აიძულებენ კლემანსოსაც დათმობის გზას დაადგეს.

ინგლისის, საფრანგეთის და იტალიის სოციალისტებმა გადასწყვიტეს საყოველთაო გაფიცვა გამოაცხადონ უკეთუ მოკავშირენი არ შესწყვეტენ რუსეთის შინაურ საქმეებში ჩარევაზე ხელის აღებას.

საფრანგეთის ოფიციალური პრესა მკიცხავს გაფიცულებს, რომ ისინი ასეთ პირობებში მხარს უჭერენ გერმანიას.

ბოლშევიკების ცნობით პეტროგრადის მდგომარეობა საშიშოა. კრონშტადტის სიმაგრის რაიონში საბჭოთა ჯარმა უკან დაიხია. კრონშტადტის ნაწილობრივი ევაკუაცია დაიწყო. პეტროგრადში ბინის კომიტეტებს მიეცა წინადადება სახლების დაცვისა.

ნი მოითხოვდნენ, ვიდრე გაერთიანება მოხდებოდა, შეეკითხებოდენ თვით ოსმალეთის სომხებს, მიეღოთ მათი დასტური.

დაშნაკცუტიუნი ასე არ მოიქცა. ოსმალეთის სომხების დაუკითხავად, მხოლოდ მათი წარმომადგენლების მოწვევით, პარლამენტის დასტურის მოუცემლად, მთავრობამ მისცა ნება გამოეცხადებინა სომხეთის გაერთიანება.

აი, სწორედ აქ მიაღწია უთანხმოებამ უმაღლეს წერტილამდე. უკმაყოფილო პარტიები მოითხოვდნენ პარლამენტის მოწვევას და მისგან დასტურის მიღებას. და, როგორც სჩანს, 4 ივნისს კიდეც შემდგარა დათხოვნილი პარლამენტის სხდომა. თუ რა მოხდა პარლამენტში, ჩვენ არ ვიცით, მხოლოდ ჩვენს ხელთ არის სომხეთა სახალხო პარტიის წარმომადგენლის დეპეშა ამ პარტიის გაზეთ „ჟოღოვურდი ძაინის" სახელზე, სადაც ვკითხულობთ: „პარლამენტის 4 ივნისის სხდომაზე სოციალ-დემოკრატებმა და ჩვენმა პარტიამ (ე. ი. სახალხო პარტიამ) წარუდგინეს წერილობითი პროტესტი იმის გამო, რომ პარლამენტში მოწვეულ იქნენ ოსმალეთის სომხების მხრით 12 წარმომადგენელი. ჩვენ განვაცხადეთ, რომ უარს ვამბობთ პარლამენტში დარჩენაზე და სამინისტროებიდანაც მიგვყავს უკან ჩვენი წარმომადგენლები. პარლამენტი დასტოვეს აგრეთვე სოციალ-დემოკრატებმა და სოციალისტ-რევოლუციონერებმა. მუსულმანები პარლამენტის სხდომას არ დასწრებიან სრულებით".

ასეთია საქმის ვითარება იმ პარტიის ცნობით, რომლის წარმომადგენლებმა დასტოვეს არა თუ მთავრობა, არამედ თვით პარლამენტიც.

ახლა მოვუსმინოთ იმ პარტიას, რომელიც მთავრობაშიც დარჩა და პარლამენტშიც.

მოვუსმინოთ დაშნაკცუტიუნს: გუშინდელ „კავკაზსკოე სლოვოში" ერევნიდან მოთავსებულ დეპეშაში, რომელსაც ხელს აწერს არშარუნიანი, შემდეგს ვკითხულობთ: „4 ივნისს ერთი თვის შესვენების შემდეგ შესდგა სომხეთის პარლამენტის სხდომა გაერთიანებული შემადგენლობით ყოფილ ოსმალეთის სომხეთის 12 წარმომადგენლის თანდასწრებით, რომელთაც დაშნაკელებს მეტი ძალა შემატეს. ამით უკმაყოფილო სოციალ-დემოკრატიულმა და სახალხო პარტიის ფრაქციებმა პარლამენტი დემონსტრატიულად დასტოვეს. სახალხო პარტიის ფრაქციამ აქტიური ბოიკოტი გამოაცხადა სომხეთის პარლამენტის არჩევნებში. პარლამენტი, მთავრობა და მცხოვრებლები ამ ამბავს მშვიდობიანად შეხვდა. დიდის უმრავლესობით მოწონებულ იქნა მთავრობის თავმჯდომარის თანაშემწის აღმასრულებლის ხატისოვის ვრცელი სიტყვა საშინაო და საგარეო პოლიტიკის შესახებ".

ასეთია საქმის ვითარება ჯერ-ჯერობით ჩვენამდე მოღწეული ცნობების მიხედვით.

ᲓᲐᲛᲤᲣᲫᲜᲔᲑᲔᲚᲘ ᲙᲠᲔᲑᲐ

6 ივნისის სხდომა.

თავმჯდომარეობს ალ. ლომთათიძე.

თავმჯდომარე აცნობს კრებას, რომ მომავალში იმ დეპუტატებზე, რომლებიც სხდომებს (თუ საპატიო მიზეზი არ ექნებათ) არ დაესწრებიან, გამოყენებულ იქნება რეგლამენტის 168 მუხ.

თ. ხოლთაშვილის მოხსენებით მიღებულ იქნა საბოლოო ტექსტი სახალხო სკოლის მასწავლებლებისათვის ხუთწლიური დამატებათა დაწესების კანონისა და ახალციხე-ახალქალაქ და სოხუმ-ზუგდიდ-სენაკის გზატკეცილების შესაკეთებლად 800,000 მ. გადადების დეკრეტისა.

ზ. გურულის მოხსენებით მეორე მუხლობრივ განხილვის შემდეგ მიღებულ იქნა კანონ-პროექტი დაზარალებულ მეომართა და მათი ოჯახების დახმარების შესახებ.

კანონ-პროექტი უქმე დღეების რაცხვის შემცირებისა.

ამ საკითხზე არის მომხსენებელი: შრომის კომისიის წარმომადგენელი გ. მახარაძე: აღნიშნავს, რომ უქმე დღეების რიცხვი მინიმუმამდე უნდა შემცირდეს, რადგანაც ამას მოითხოვს ჩვენი ხალხის ეკონომიური მდგომარეობა. მომხსენებელს მოყავს მაგალითები დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებიდან, სადაც უქმე დღეები ძლიერ მცირეა. კანონ-პროექტის ძალით უნდა გაუქმებულ იქნას შემდეგი უქმეები: მირქმა უფლისა, დიდი პარასკევი, აღდგომის მე 3 დღე, მეორე დღე სულთმოფენობისა, ფერისცვალება, მიძინება ღვთისმშობლისა, ჯვარით ამაღლება და ტაძართ მიყვანება. ამ უქმეების გაუქმება შესამჩნევად აწევს შრომის ნაყოფიერებას და საშუალოდ თუ ვიანგარიშებთ ჩვენს ქვეყანას შესძენს 8 მილ. მანეთის ღირებულებას.

მცირე კამათის შემდეგ, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს ი. ფირცხალავაშვილმა, ა. ასათიანმა და კ. ნინიძემ, დადგენილ იქნა მუხლობრივ განხილვაზე გადასვლა. მუხლობრივი განხილვა მოხდება შემდეგ.

ალ. ასათიანის მოხსენებით მოხდა პირველი ზოგადი განხილვა კანონ-პროექტისა საწონ საზომი პალატის შესახებ და სასინჯავი სამმართველოს დაარსების შესახებ.

ეგ. ჭავჭანიძეს სოც. დემ. ფრაქციის სახელით წინადადება შეაქვს მუხლობრივი განხილვის დროს წარმოდგენილი იქნას ყველა მასალები ამ საკითხის შესახებ.

თფილისის თვითმართველობისათვის 10 მილიონ მანეთის სესხად მიცემა.

მომხსენებელი დ. თოფურიძე აღნიშნავს იმ ეკონომიურ და ფინანსიურ კრიზისს, რომელსაც ამ ჟამად განიცდის თფილისის თვითმართველობა. საბიუჯეტო-საფინანსო კომისიამ განიხილა დეკრეტი თვითმართველობისათვის 10 მილიონი მანეთის სესხად მიცემის შესახებ და მიიღო ის. სესხი მიეცემა შემდეგი პირობით: ყოველ წელში თითო მილიონი უნდა შეიტანოს ხაზინაში, გადასახდელი ხაზინის სასარგებლოდ 5 პროცენტი, სესხი ქალაქის ქონების დაგირავებით უზრუნველყოფილი უნდა იქნეს.

ალ. ასათიანი (ნ. დ.) მოითხოვს, რომ ეს დეკრეტი დაბრუნებულ იქნას ისევ კომისიაში, რადგანაც ასე ნაჩქარევად ასეთი დიდი საკითხის გადაჭრა არ შეიძლება.

დ: ონიაშვილი. ამბობს, რომ სოც.-დემ. ფრაქცია პრინციპიალურად წინააღმდეგია ასეთი სესხებისა, ქალაქმა თვითვე უნდა მოაწყოს თავისი მეურნეობა, მაგრამ დღეს ისეთი მდგომარეობაშია ქალაქის საქმეები, რომ ჩვენ არ შეგვიძლია არ მივსცეთ სესხი, ამიტომ ჩვენი ფრაქცია შედის ქალ. მდგომარეობაში და მხარს უჭერს წამოყენებულ დეკრეტს, მაგრამ ამასთანავე სოც. დემ. ფრაქცია გამოსთქვამს რწმენას და სურვილს, რომ თფილისის ქალაქის თვითმართველობა გამოიჩენს უნარს და შესძლებს თავისი მეურნეობის ჯეროვნად გაუმჯობესებას.

თ. ღლონტი (ს. ფ.) სესხის გაცემა ყოველთვის ნორმალურად მიაჩნია და დეკრეტს მხარს უჭერს, მხოლოდ მოითხოვს, რომ ეს თანხა მოხმარდეს საზოგადოებრივი წარმოების მოწყობას—სახელმწიფომ თვითონ აიღოს თავის ხელში სხვადასხვა წარმოებები.

მომხსენებლის დასაბუთებული პასუხის შემდეგ დეკრეტი მიღებულ იქნა. **აქ.**

ᲣᲙᲐᲜᲐᲡᲙᲜᲔᲚᲘ ᲪᲜᲝᲑᲔᲑᲘ

საქართველოს დამოუკიდებლობა და ინტერნაციონალი.

ჩვენ მივიღეთ იმ რეზოლუციის ტექსტი, რომელიც ამსტერდამში არსებულმა საერთაშორისო სოციალისტურ მუდმივმა კომისიამ მიიღო ერთხმად საქართველოს დამოუკიდებლობის შესახებ.

რეზოლუციის ტექსტი შემდეგს შეიცავს:

„ვიღებთ რა მხედველობაში, რომ დამოუკიდებლობის გამოცხადება საქართველოს ხალხისა იყო დადასტურებული ერთხმად თფილისში 12 მარტს 1919 წ. დამფუძნებელ კრების მიერ, რომელიც არჩეულია ყველა 20 წლოვანი მოქალაქის მიერ განურჩევლად სქესისა, ვიღებთ რა მხედველობაში, რომ ქართველმა ხალხმა შექმნა და იცავდა ისეთ კრიტიკულ პირობებში რესპუბლიკანურ დემოკრატიულ კონსტიტუციას და მართავდა რა რესპუბლიკას ნორმალურად საკუთარის ძალით ერთის წლის განმავლობაში, დაუმტკიცა მთელს ქვეყნიერებას თავისი უდავო პოლიტიკური ნიჭი, მუდმივი ინტერნაციონალური კომისია სცნობს ქართველი ხალხის მისწრაფებას დამოუკიდებლობისაკენ სამართლიანად, რომელიც ეთანხმება ხალხთა უფლებას განაგოს თავისი ბედი თვითონ, რაც დადასტურებულ არის ინტერნაციონალმა და იგივე შეტანილია პრეზიდენტ ვილსონის პროგრამაში ზავის ერთ მთავარ პირობათ.

კომისია დაბეჯითებით მოითხოვს, რომ საზავო კონფერენციამ პარიზში და ყველა სახელმწიფოებმა ფორმალურად იცნონ საქართველოს სრული დამოუკიდებლობა, რომელიც უარყოფს იმპერიას ერთი ან რამოდენიმე სახელმწიფოს და ყოველ უცხოეთის კონტროლს მის დემოკრატიულ დაწესებულებებზე".

ᲓᲔᲞᲔᲨᲔᲑᲘ

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

7 ივნისი.

ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲣᲠᲘ ᲞᲠᲔᲡᲘᲡ ᲪᲜᲝᲑᲔᲑᲘ.

ლონდონიდან იუწყებიან: კლემანსომ, ლოიდ ჯორჯმა და ვილსონმა განაცხადეს, რომ მათ შორის პრინციპიალური შეთანხმება მოხდა გერმანელების საპასუხო წინადადებათა შესახებ. რადგანაც მოკავშირენი ფინანსიურ და ეკონომიურ საკითხებში დაუთმობენ გერმანიას, უკანასკნელს დრო უნდა მიეცეს ხელშეკრულებაში შეტანილ ცვლილებათა განსახილველათ.

ადვილია წარმოვიდგინოთ ის მოლაპარაკება, რომელიც შესაძლებელია მომხდარიყო 3 დიდ სახელმწიფოს წარმომადგენელთა შორის: **ლოიდ ჯორჯი:** ჩემმა მეგობრებმა ამას წინად გამომიგზავნეს, კარგად არ მახსოვს „მანჩესტერ გარდიან"-იდან თუ სხვა რომელიმე ლიბერალურ გაზეთიდან ამოჭრილი ადგილი. ხელშეკრულება თანაგრძნობას ვერ პოულობს. იქნება ჩვენ შეცდომა დავუშვით, როცა ზემო სილეზიის ქვანახშირის რაიონები პოლონეთს გადავეცით და საბოლოო ასანაზღაურებელი ჯამი საბოლოოდ არ განვსაზღვრეთ. თქვენ როგორ ფიქრობთ? **ვილსონი:** ჩემის მხრით ვფიქრობ, რომ მე შევთანხმდებით წავიკითხე „მანჩესტერ გარდიანი" და ის დასკვნა გამოვიტანე, რომ იქ ბევრი საჭირო ცნობებია. ჩვენ ყველანი თანაგრძნობით ასანაზღაურებელ ზარალის რაოდენობის საბოლოოდ გარკვევას და აგრეთვე სხვა საკითხების მოგვარებას. იმედი მაქვს თქვენ არ მოითხოვთ, რომ ბროკდორფ რანცაუმ განმარტოს ჩემი 14 მუხლი? **კლემანსო:** ბ-ნო ჯორჯ! პრეზიდენტი მართალია, ჩვენ ვერ დავუშვებთ, რომ რანცაუმ განმარტოს მისი 14 მუხლი. ჩემის მხრით შემიძლია ვთქვა, რომ მე არავითარ დათმობას არა ვსცნობ. ცვლილებები უნდა შევიტანოთ, მაგრამ ეს სულ სხვა საქმეა: დე შეტანილ იქნეს ცვლილებები, განმარტებები, რაც გინდათ, თუნდ დამატებითი რეფერენდუმი, მაგრამ დათმობა და პრინციპიალური ცვლილებები დაუშვებელია.

კლემანსო მტკიცე უარის ამბობს, რომ გერმანელებს რაიმე დაუთმონ.

მოსალოდნელია, რომ შვეცია, ნორვეგია, დანია და შვეიცარია უარს არ განაცხადებენ მონაწილეობა მიიღონ გერმანიის ბლოკადაში, თუ გერმანელები უარყოფენ ხელშეკრულებას. ეს სახელმწიფოები ნეიტრალურად დარჩებიან ისე, როგორც ომის დროს.

პარიზის, ლიონის და ბორდოს ფრანგულ გაზეთებში დაბეჭდილია ცნობები და პროტესტები ამერიკელ ჯარისკაცთა საქციელის შესახებ. გაზეთები სჩივიან, რომ ფრანგული და ამერიკული პოლიცია არაფერს აკეთებს.

ვილსონმა უარი განაცხადა, შეედგინა პროექტი იმის შესახებ, თუ როგორ მოხდეს შეთანხმება ბროკდორფის წინადადებების და იმ მინიმალური ცვლილებების შესახებ, რომელსაც გერმანია მოითხოვს ხელშეკრულების მისაღებად. ის ამბობს, რომ საქმე პრინციპშია და არა იმაში, რომ რამე დავუთმობინოთ. ისეთი მნიშვნელოვანი ფაქტორები, როგორიცაა გაფიცვები საფრანგეთში, მისი ფინანსიური სუსტი მდგომარეობა და ყველა ქვეყნის ბანკირების მისწრაფება, კლემანსოს აიძულებენ დაეთანხმოს ხელშეკრულების შეცვლაზე. იაპონიის საქმეთა მოქმედება და კოლჩაკის მთავრობის გამარჯვებაც მნიშვნელოვანი ფაქტორია.

ინგლისმა გამოარკვია თავისი დამოკიდებულება გერმანიის საპასუხო წინადადებისადმი. იმედი აქვთ, რომ ოთხთა საბჭო ამ საკითხს ხუთშაბათს გადასწყვეტს. ერთი რამ აშკარაა; ლოიდ ჯორჯი მზადაა ხელშეკრულების შეცვლაში თავის ამხანაგებზე შორს წავიდეს. კლემანსო, რომელსაც მისი კაბინეტი უკლებლივ უჭერს მხარს, არავითარ კომპრომისებზე არ დაეთანხმება. ვილსონს საშუალო პოზიცია უჭირავს. შეთანხმება ჯერ არ მომხდარა. ნახევრად ოფიციალური ფრანგულ ცნობების თანახმად, ვილსონი და კლემანსო შეთანხმდნენ და მართალი არ არის თითქოს მათი დაპირისპირება მოსალოდნელია ხელშეკრულების შეცვლის საკითხში.

ექსპერტებმა მუშაობა დაასრულეს და ოთხთა საბჭომ 7—10 დღის შემდეგ უნდა გამოიტანოს თავისი გადაწყვეტილება. საფრანგეთის ოფიციალური პრესა გაფიცულებს მკიცხავს, რომ ისინი ასეთ ხანაში გერმანიას მხარს უჭერენ.

სამი სახელმწიფოს რკინიგზის მიმართულების მუშების მიერ წარმოდგენილ გეგმის თანახმად, ინგლისში, საფრანგეთში და იტალიაში საყოველთაო გაფიცვა გამოცხადდება, თუ მოკავშირენი რუსეთის საქმეებში ჩაერევიან. ამ დღეებში მილანში გაიმართა მიტინგი, რომელსაც სამივე სახელმწიფოს მუშათა წარმომადგენლები დაესწრნენ და შეთანხმდნენ, რომ ასეთი გაფიცვა უნდა გამოცხადდეს, თუ კი მას მუშები თანაუგრძნობენ.

ᲑᲝᲚᲨᲔᲕᲘᲙᲔᲑᲘᲡ ᲪᲜᲝᲑᲔᲑᲘ.

მოსკოვი. ივნისის 6. სტეკლოვმა, რომელიც ც. ა. კომ—მა მობილიზაციის საქმეებზე ვიატკაში გაგზავნა, „იზვესტია"-ში წერილი მოათავსა „დაიცავით პეტროგრადი"-ს სათაურით. ავტორი მოუწოდებს, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ პეტროგრადს. აღმოსავლეთ ფრონტზე კოლჩაკი ყველგან უკან იხევს და პერმის და ვიატკის მიმართულებით დიდ ძალებს უყრის თავს, მას მიზნათ აქვს არხანგელსკიდან წამოსულ ინგლისელების რაზმს შეუერთდეს და პეტროგრადზე შეტევა გააძლიეროს. მოკავშირეებს სურთ პეტროგრადი კოლჩაკმა და იუდენიჩმა აიღოს, რათა აღიარებულ იქნას კოლჩაკის მთავრობა. **პეტროგრადი.** 5 ივნისი. სამხედრო ცნობა. 5 ივნისს კრონშტადტის სიმაგრის რაიონში ჩვენმა ჯარმა პერინოვო-ლეშკო-ლამპოვის ხაზისაკენ დაიხია. სოფ. უზმინზნასთან ბრძოლის დროს ხელთ ვიგდეთ 2 ზარბაზანი და სამხედრო ქონება. ფინეთის მხრიდან გადმოისროლეს სამი 12 დიუმიანი ყუმბარა, რომელიც ქალაქში გასკდა [illegible]. მსხვერპლი არ ყოფილა. **კრონშტადტი,** ივნის. 5. საბჭომ მიიღო დადგენილება ბავშვების, მოხუცების და ქალების ქალაქიდან გაყვანის და მცხოვრებთა არამშრომელი ბურჟუაზიული ნაწილის გაძევების შესახებ. წითელმა კრონშტადტმა გადასწყვიტა უკანასკნელ სისხლის წვეთამდე დაიცვას ციხე. **პეტროგრადი,** ივნ. 6. პეტროგრადის საბჭოთა მართველობის განყოფილების ბრძანებით ყველა ბინის კომიტეტებს წინადადება მიეცათ სახლების დაცვა მოაწყონ.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

დამფუძნებელი კრების ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ ხუთშაბათის სხდომაზე დაადგინა დამატებითი არჩევნები დამფუძნებელი კრებისა—რესპუბლიკის ყველა იმ ადგილებში, სადაც პირველი არჩევნები არ მომხდარა, დაიწყოს მარიამობისთვის 10—ს. არჩევნები გაგრძელდება 10, 11—12 მარიამობისთვეს. მიღებულია ზომები დაუყონებლივ შედგეს საარჩევნო სიები იმ ადგილებში, სადაც არჩევნები არ მომხდარა.

◆ **ინგლის ამერიკის შეერთებული ბანკი.** ინგლისის და ამერიკის ბანკირებმა ერთი კომპანია შეადგინეს. ხსენებულმა კომპანიამ სხვათა შორის ხსნის თავის განყოფილებას თფილისშიც, რომელიც მთელ კავკასიაში აწარმოებს ოპერაციებს.

◆ **თუშები და ქისტები.** თუშეთში მოსხდარი ქისტების დიდ დაცემის გამო [illegible]. წევრმა გ. ცისკარიშვილმა, რომელმაც სათანადო განცხადებით მიმართა მთავრობას, გადმოეცა პირად პასუხისმგებლობის ქვეშ რამოდენიმე ტყვიისმფრქვეველი საჭირო მასალით და რამოდენიმე ათეული ათასი თოფის პატრონები. ყოველივე ეს გ. ცისკარიშვილმა უკვე გაუგზავნა თუშთ თემებს საჭირო ადგილების გასამაგრებლად და დასაცველად ქისტებისაგან.

◆ **ცენტრალური სასურსათო საბჭოს** თავმჯდომარედ დაინიშნა პეტროგრადის ქალაქის თავად ნამყოფი შრეიდერი.

◆ **ქართველ მხატვართა სურათების აუქციონი.** კვირას, 8 ივნისს დიდების ტაძარში გაიმართება სურათების აუქციონი. სურათების გასინჯვა დაიწყება დილის 10 საათიდან. შესვლა უფასოა.

◆ **მეოთხე რაიონული კოლექტივი,** ორშაბათს საღ. სრულ 5 საათზე, იწვევს თავის ორგანიზაციის წევრთა საზოგადო კრებას. საერთაშორისო მდგომარეობაზე მოხსენებას გააკეთებს ამხ. ვლ. ვოიტინსკი. პარტიის წევრთა დასწრება სავალდებულოა.

◆ **მარკ აზატიანის ლექცია.** სახალხო სახლში, ორშაბათს, 9 ივნისს, საღამოს 7 საათზე სომხეთის პარლამენტის წევრი ამხ. მარკ აზატიანი სომხურ ენაზე წაიკითხავს ლექციას შემდეგ თემაზე: „პარლამენტი და სამინისტრო სომხეთში". შესასვლელი ფასი 3 მან.

◆ **გალაკტიონ ტაბიძის წიგნი.** დაიბეჭდა და გამოვიდა გასაყიდათ გალაკტიონ ტაბიძის

ლექსების მე-II ტომი. წიგნი პირველ ხანებში გაიყიდება შემდეგ ადგილებში: სასახლეში, საქმეწარმოო ნაწილში და გაზ. „ერთობის" და „საქართველოს რესპუბლიკის" რედაქციებში.

◆ **ომში დახოცილთათვის.** დღეს, საღამოს, ნაძალადევის თეატრში გაიმართება წარმოდგენა-კონცერტი ომში დახოცილ მებრძოლთა ოჯახობის სასარგებლოდ. იმედია საზოგადოება მრავლად დაესწრება.

◆ **მკვლელობა.** 6 ივნისს, მე 4 უბნის კომისარიატის უშიშროების მილიციელმა კობიაშვილმა ცირონცკოვის ძმებთან რევოლვერით მოჰკლა მე 9 უბნის კომისარიატის მილიციელი და ერთი ინგლისელი ჯარისკაცი. მიზეზი გამოურკვეველია. მკვლელი კობიაშვილი მიიმალა.

◆ **დაპატიმრება.** სისხლის სამართლის მილიციელმა ქურდობისათვის დააპატიმრა არამიანცი, კაროგოვიტისი, ავაკუმოვი, იშხანოვი, ამირბეგოვი, მახარაძე, თართალაძე და ქვერქველია.

◆ **საქართველოს მთავრობამ,** რესპუბლიკის წინაშე თავდადებულ სამსახურისათვის კაპიტანის ხარისხი უბოძა შემდეგ ბეგენიძეს, პრაპორშჩიკის ხარისხი მიენიჭათ: ომბანზე თავდგირიძეს, ისაბეგ ნაკაშიძეს, მასან ფუტკარაძეს, მეშველ ლილობერიძეს, ისმაილ მეგრელიძეს, ახოზ ჯაშს, ჰასან თხილაიშვილს, რიზალი გოგიტიძეს და ალი ლეკანიძეს.

◆ **მიხეილის საავადმყოფოს მოსამსახურეთა** საზოგადო კრებამ, რომელიც მოხდა 8 ივნისს, განიხილა რა მოსამსახურეთა კავშირის ბიუროს მოხსენება, დაადგინა: უკმაყოფილება გამოეცხადოს საავადმყოფოს უფროს ექიმ ვირსელაძეს, რომელიც არ აქცევს სათანადო ყურადღებას მოსამსახურეთა გაჭირვებულ მდგომარეობას და არ უწევს ანგარიშს მოსამსახურეთა კავშირის ბიუროს კანონიერ მოთხოვნილებებს.

◆ **მთარგმნელთა საყურადღებოთ** ვს. გადილია გვთხოვს გამოვაცხადოთ, რომ პროფ. ციმპერის ძველი, საშუალო და ახალი დროის ისტორიის სახელმძღვანელოები გადათარგმნილია ქართულად გრ. ლორთქიფანიძის მიერ, რომელიც ამ ჟამად რუსეთში იმყოფება. თარგმნების ჩამოსატანად და გამოსაცემად მიღებულია ზომები. ამიტომ მთარგმნელნი ზედმეტ შრომას ნუ გასწევენ.

◆ **სახალხო უნივერსიტეტში** ქართველ ლექტორთა საბჭომ, განყოფილებათა წარმომადგენლების თანადასწრებით უნივერსიტეტის გამგეობის გადაწყვეტილების თანახმად ქართულ განყოფილებებში შესწყვიტა სისტემატიური მეცადინეობის წარმოება. დროა გამოშვებით, ზოგიერთ განყოფილებებში, სადაც ეს საჭიროთ იქნა აღიარებული, იწარმოებს კერძო მოხსენებების კითხვა და სახალხო კონსერვატორიის მუშაობა. ქართველ ლექტორთა კოლეგია ზაფხულში მუშაობას აწარმოებს სამხედრო ნაწილებში. განზრახულია სახალხო უნივერსიტეტის მოღვაწეთა ყრილობის მოწვევა, პროგრამის გამომუშავება, მომავალი წლისთვის საქმის ახალ ნიადაგზე დაყენების საკითხების მოგვარება, მთავარი გამგეობის რეორგანიზაციის საკითხი და სხ.

◆ **სალიტერატურო საღამო სახალხო სახლში.** ოთხშაბათს, 11 ივნისს სახალხო სახლში გაიმართება დიდი სალიტერატურო საღამო ლექციით, დაწვრილებით აფიშებში.

◆ შაბათს 21 მაისს ღამის 12 საათის შემდეგ გატეხეს საწყრომალოს დუქანი გიორგი ჯორჯაძისა. წაღებულია რვაასი თუმნის საქონელი.

კ რ ე ბ ე ბ ი.

დღეს, შუადღის 8 ს. ორთაჭალის მუშათა კლუბში დანიშნულია მე 5 სამილიციო ნაწილის ს. ს.-დ. მ. პ. საზოგადო პარტიული კრება. მიმდინარე მომენტზე მოხსენებას გააკეთებს ი. ირემაშვილი.

— კვირას, დილის 9 საათზე, ვერის პარტიულ მუშათა კლუბის დარბაზში დანიშნულია გაერთობის საზოგადოების წევრთა საგანგებო საზოგადო კრება. ყველა წევრთა დასწრება სავალდებულოა.

— დღეს, 8 ივნისს, დილის 10 საათზე ქალაქის საბჭოს დარბაზში შესდგება საერთო კრება ყველა სომეხ სოციალ დემოკრატების, დღის წესრიგშია: 1) არჩევნები სომხების ნაციონალურ საბჭოში, 2) მიმდინარე მომენტი და საორგანიზაციო კითხვები. ყველა ამხანაგების დასწრება აუცილებელია.

— დღეს, საღამოს 5 საათზე, ინ. ივ. ჟორდანიას ბინაზე (ერმოლოვის ქუჩა № 9) დანიშნულია „ბავშვთა და დედათა დამცველ საზოგადოების გამგეობის კრება.

— სამშაბათს, 10 ივნისს, საღამოს 7 საათზე, მიხეილის საავადმყოფოს რენტგენის კაბინეტში საქართველოს რესპუბლიკის ექიმთა პროფესიონალური კავშირის თფილისში მცხოვრებ ექიმთა კერძო თათბირია მოწვეული სადღეისოთ საჭირბოროტო საკითხების განსახილველად.

პ რ ო ვ ი ნ ც ი ი ს ქ რ ო ნ ი კ ა.

ხაშურის ვაჟთა და ქალთა გიმნაზიებში კერძო პირთათვის მისაღები, სიმწიფის და სხვა მოწმობებზე გამოცდები წარმოებული იქნება 10 ივნისიდან 15 ივნისამდე ახალი სტილით.

თეატრი და ხელოვნება

ჩვენი ცხოვრება კინემატოგრაფის ლენტზე.

ჩვენი ცხოვრების სურათს კინემატოგრაფის ლენტზე ძლიერ იშვიათად შევხვდებოდით. თითქმის არ მოიპოვებოდა ისეთი სურათები და თუ სადმე შევხვდებოდით თითო-ოროლა სურათს, ის გადაღებული იყო უმეტესად რუსეთის რომელიმე დიდ ქალაქში.

მეტია იმაზე ლაპარაკი, თუ როგორი უნდა გადაიღოთ ლენტზე, მაგ. მოსკოვში, გურიის გინდ კახეთის ცხოვრება ან ბუნება.

სულ სხვაა გურ. გოგიტიძის მიერ კინემატოგრაფის ლენტზე გადაღებული „ქრისტინე", „გვარდიის დღე თფილისში" და „დამფუძნებელი კრების გახსნა".

ეს სურათები ვნახეთ გუშინ ქართული კლუბის ეკრანზე და არა გვგონია, მათ ბევრი მნახველი არ დააკმაყოფილონ.

„ქრისტინე"-ს შინაარსი, მასში მონაწილე პირების სამოქმედო ასპარეზი გურია და თფილისია.

უნდა ითქვას, რომ როგორც გურიის ცხოვრება შინაარსით, ისე გარეგნულად, მისი ბუნების გადმოცემით, ზედმიწევნით არის შესრულებული, დღეობა ეკლესიაზე, ლატაკი დათიას სახლ-კარი, მისი ეზო, მისი ყანა, მისი ოჯახის ავეჯი, ძაღლი, კატა, ერთი სიტყვით, ყოველივე წვრილმანი თქვენს თვალწინ გაირბენს. გურიის ფუა ბუნებასთან ერთად—წვავებით შემოსილ მდინარე ჩანჩქერებით. კარგათაა გადმოცემული აგრეთვე თფილისის ცხოვრების ის ადგილი, სადაც ქრისტინესთან ერთად ორთაჭალის ბაღებში ორი ჯაშუში კინტოებისა ქეიფობენ—ცეკვავენ.

საუცხოვოდაა აგრეთვე გადაღებული „გვარდიის და დამფუძნებელი კრების დღეები". თითქმის მთლიან სურათს იღებს მნახველი ამ დღეების დღესასწაულებისას. თქვენს წინ ეკრანზე ელვის სისწრაფით გაირბიან გვარდიის და ჯარის ყველა ნაწილები—ქვეითი, ცხენოსანი, არტილერია, ტყვიის მფრქვევლები, ჯავშნიანი ავტომობილები, აეროპლანი, მთავრობის შემადგენლობა, გვარდიის შტაბი, დღესასწაულში მონაწილე ხალხი თავიანთი დროშებით და სხვ. ხედავთ ბევრ ნაცნობ სახეებსაც...

სასიამოვნო და სასარგებლო მოვლენათ უნდა ჩაითვალოს ამ ნიადაგზე მუშაობა. მხოლოდ ერთი უნდა ვუსურვოთ საქმის ინიციატორთ,—რომ საკინემატოგრაფო ასპარეზზე ჩვენში მუშაობას ისეთი ხასიათი არ მიეცეს, როგორიც ეს საზღვარგარეთ ბევრს ადგილს მოხდა და ხდება.

ჩვენში კინემატოგრაფს მიზნათ უნდა დაისახოს სამეცნიერო მოღვაწეობა, ჩვენი ხალხის ყოფა-ცხოვრების, ჩვენი ქვეყნის ბუნების სისწორით გადმოცემა.

ამ დარგში მოღვაწე ყოველთვის ჰპოვებს ჩვენი ხალხის სიმპატიას. **თარი.**

საქართველოს მუშათა პროფესიონალურ კავშირებს

პატივცემულო ამხანაგებო!

თანახმად პირველი ყრილობის დადგენილებისა, 15 ივნისს თფილისში იწყებს გამოსვლას საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა ორკვირეული ჟურნალი „მუშათა ცხოვრება".

ჟურნალი გამოვა ორ ენაზე: ქართულად და რუსულად. აღმასრულებელი კომიტეტი სთხოვს ყველა საბჭოებს და კავშირებს დაჩქარებით მოაგვაწოდონ ყოველგვარი მასალები, მოახდინონ შემოწირულება ჟურნალის ფონდისათვის და გაავრცელონ ჟურნალი მუშათა შორის.

გთხოვთ გვაცნობოთ, თუ რამდენი ცალი იქნება თქვენთვის საჭირო. ქაღალდის საშინელი სიძვირე და მისი ნაკლებობის გამო ჟურნალი ჯერჯერობით თვეში მხოლოდ ორჯერ გამოვა და ეღირება 8 მანეთი.

ყოველივე ცნობები გამოგზავნეთ ცენტრალურ საბჭოში აღმასრულებელი კომიტეტისა და სარედაქციო კოლეგიის მდივნის შ. აბდუშელიშვილის სახელზე.

აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ალ. ხახტაძე,** მდივანი **შ. აბდუშელიშვილი.**

კოოპერატიული მოძრაობა

ინსტრუქტორთა ყრილობა.

ინსტ. წერეთლის მოხსენება (ბაღდათის რაიონი): კოოპერატივთა რაოდენობა ქაღალდზე აღნიშნული განისაზღვრება 86. არსებითად კი ნაკლებია. ინსტრუქტორს შემოუვლია 8 კოოპერატივი და შეუდგენია ანგარიშები. წიგნების წარმოება არა არსებობს თითქმის არსად. კოოპერატიულ შემეცნებაზე ლაპარაკი ბაღდადის რაიონის შესახებ ზედმეტია.

ინსტ. ყიფიანის მოხსენება: საერთო სურათი რაჭა-ლეჩხუმის რაიონისა ისეთივე უნუგეშოა, როგორც ბაღდადის ან რომელიმე სხვა ჩამორჩენილ კუთხის. განსაკუთრებულ სურათს წარმოადგენს ქ. ონის კოოპერატივი. იქ ანგარიშებსაც აწარმოებენ და კულტურულ მუშაობასაც ეწევიან.

ლ. ცომხვარის მოხსენება: (ქუთაისის მაზრა) მომხსენებელი ეხება კოოპერატივების დამახასიათებელ მხარეებს და ამბობს, რომ რამდენადაც კოოპერატივები ძლიერნი არიან ეკონომიურად და ფინანსიურად, იმდენათ მათში ძლიერია ლტოლვილება ამიერ-კავკასიის კოოპერატივთა კავშირისადმი. მათ უფრო აკავშირებს ამიერ-კავკასიის კოოპერატივთა კავშირთან იდეური მისწრაფებანი. მომხსენებელი აღნიშნავს, რომ დღეს ერთი საოცარი მოვლენას აქვს ადგილი: კოოპერატივებმა, რომლებსაც წინად ქონდათ საკმაო დიდი გავლენა, ყავდათ და დღესაც ყავთ 400—500 წევრები, დღეს თითქმის დაკარგეს თავიანთი მნიშვნელობა, მიუხედავათ იმისა, რომ ასეთ კოოპერატივებს ხშირად ხელმძღვანელობენ საკმაო მომზადებული პირები. კოოპერატივების უმეტესობაში ანგარიშის მხარეები ძლიერ სუსტობს. ამის გამო ჩვენ უძლური ვართ აღმოვაჩინოთ ბოროტმოქმედებები, თუმცა და ხშირად დარწმუნებული ვართ, რომ ბოროტობას აქვს ადგილი. შეკითხვაზე, თუ რამდენათ კმაყოფილი არიან ცალკე კოოპერატივები ქუთაისის განყოფილებით, ცომხვარი უპასუხებს, რომ უკმაყოფილება ორ გვარი ხასიათისაა: პირველი განყოფილებას არ აქვს საკმაო საქონელი და კოოპერატივები იძულებულნი ხდებიან თფილისში ჩამოვიდნენ და აქედან შეიძინონ საქონელი; მეორე საქონლის უქონლობის ნიადაგზე იბადება უკმაყოფილება საზოგადოთ „კავშირის" წინააღმდეგ. ეს უკმაყოფილება საერთო ხასიათს ღებულობს მათ შეგნებაში ქუთაისის განყოფილების წინააღმდეგ.

ინსტ. თოფურიძის მოხსენება. (სენაკის რაიონი): კოოპერატივებს მომხსენებელი ყოფს ორ კატეგორიათ: პირველი, რომლებსაც წიგნების წარმოება აქვთ და ეწევიან კულტურულ-განმანათლებლობითი მუშაობასაც; მეორენი, რომლებსაც ახასიათებს სხვა და სხვა გვარი ბოროტ-მოქმედებანი. მეორე კატეგორიის კოოპერატივებს ხელმძღვანელობენ უმთავრესად სასულიერო პირები, ინსტრუქტორის ცდით ეს პირები დღეს ჩამოცილებული არიან კოოპერატივებისაგან და ყოველგან სათავეში მოხვდნენ მოწინავე პირები.

ერობა ეხება კოოპერატიულ ცხოვრებას და იჩენს თვითნებობას. ერობა ამართლებს თავის მოქმედებას იმით, რომ მას უფლება აქვს ასეთი ჩარევის ყოველივე საზოგადო საქმეში.

ინსტ. არველაძის მოხსენება (სამტრედიის რაიონი): სამტრედიის რაიონი მომხსენებლის შეხედულებით წარმოადგენს ქუთაისის გუბერნიის ეკონომიურ ცენტრს. ნავთის საკითხმა საბედი გადაწყვიტა კოოპერატივებს, რადგანაც ნავთის ფასი კოოპერატივებში ორჯერ ძვირი იყო, ვიდრე ბაზარზე. მიუხედავათ გადიდებულ ფასებისა კოოპერატივებმა მაინც იზარალეს ნავთის საქმეში. კავშირი ვერ აკმაყოფილებს კოოპერატივების მოთხოვნილებას. ამ ნიადაგზე იბადება უკმაყოფილება. ძველი დადგენილებანი თავისუფალ თანხის რაიონულ კავშირში შეტანის შესახებ არ სრულდება. კასა-მეურობის წიგნები არსებობს მხოლოდ 4 კოოპერატივში. საქონელს იღებენ 49 პროც. არსებობს მოსამსახურეთა საბჭო.

ინსტ. ბეგიშვილის მოხსენება (სამტრედიის რაიონი): საერთო სურათი დამაღონებელია. ამბობენ კოოპერატივები მალე დაიკეტებიან. წიგნების წარმოება თითქმის არსად არ არსებობს. გამგეობა ხშირათ ერთ კაცისაგან შესდგება. სარევიზიო კომისია უმეტეს შემთხვევაში არ არსებობს. ინსტრუქტორი ყოფილა 14 კოოპერატივში. ჰქონია 8 საზოგადო კრება (ინსტ. მუშაობს იანვრის ბოლო რიცხვებიდან).

ინსტ. აბაშიძის მოხსენება. (ჭიათურა-საჩხერის რაიონი): რაიონი მდიდარია მეურნეობის მხრივ მარგანეცის, თივის, ლობიოს, პურის და სხვა სანოვაგის წარმოებით. საერთო სურათი ჩვეულებრივია, არსებობს სხვადასხვა გვარი დეფექტები, რაც ბევრ სხვა რაიონებშია მოსამსახურეების მდგომარეობა საშინელია. არის ისეთი შემთხვევები, როცა თვეობრით ღებულობენ 60 მან. ინსტრუქტორი ეწევა კულტურულ მუშაობას.

ინსტ. ბოლქვაძის მოხსენება (ზუგდიდ-სამურზაყანოს რაიონი): მომხსენებლის სიტყვით სპეკულიაციამ და სხვა გვარ ბოროტმოქმედებამ მიაღწია უმაღლეს წერტილამდე და ამ მხრივ ამ რაიონს გადასწრია ყველა სხვა რაიონებისათვის. რაიონის დამახასიათებელი თვისებას, მომხსენებლის სიტყვით შეადგენს უდიერად დახელოვნებული აფერისტობა და ყაჩაღობა. ინსტრუქტორი ყოფილა 20 კოოპერატივში. საერთო რიცხვი ქაღალდზე ითვლება 98. საზოგადო კრება ყოფილა 8 ჯერ. იჯარით გაცემული ყოფილა 6.

ინსტ. თოხაძის მოხსენება (ლანჩხუთის რაიონი): საერთო მდგომარეობა გაცილებით უკეთესია, ვინემ ბევრ რაიონებში, მაგრამ მაინც ბევრია გასაკეთებელი საერთო გაუმჯობესებისათვის. იჯარით გაცემას, ბოროტმოქმედებებს და სხვა ბოროტებებს არ აქვს ადგილი. ინტელიგენცია გაურბის კოოპერატივებში მუშაობას. რაიონის მეურნეობას შეადგენს: სიმინდი, აბრეშუმეულობა, პარკი, ლობიო.

ინსტ. ბერძენიშვილის მოხსენება (ჩოხატაურის რაიონი): განსაკუთრებული რაიონში არაფერია. მოსამსახურეთა მდგომარეობა ცუდია, მაგრამ მიღებულია ზომები, რომ მათი მდგომარეობა გაუმჯობესდეს.

ინსტ. კაპანაძის მოხსენება (კახეთის საკრედიტო კავშირის რაიონი): რაიონში საკრედიტო კოოპერატივების საერთო მდგომარეობა კარგია. ანგარიშები ყველგან მშვენივრადაა მოწყობილი. გაფლანგვას და სხვა ბოროტებას არ აქვს ადგილი. კულტურული მუშაობაც კარგადაა დაყენებული. რაიონში არსებობს კოოპერატივებში მოსამსახურეთა პროფესიონალური კავშირი.

რუსიშვილის მოხსენება. (გორის რაიონი): გორის რაიონი მეურნეობის მხრივ საყურადღებოა ხვნა-თესვით, პურით, მეღვინეობით, ხილით და სხვა. კოოპერატივებში ბოროტებას აქვს ადგილი, როგორც გამგეობის ზოგიერთა წევრების მხრივ, ისე მოსამსახურეების მხრივაც. ინტელიგენცია გაურბის სოფლიდან და კოოპერატივები რჩებიან უხელმძღვანელოდ, ან ვარდებიან ხელში ნარჩენს ან კიდევ სხვა არა სასურველ პირებს. საზოგადოება ბოროტ-მოქმედებასთან საბრძოლველად ხშირად მიმართავს ხოლმე ადმინისტრაციას და მის საშუალებით ახდევინებს ბოროტ-მოქმედს ზარალს. ამ საშუალებას აქვს არა-სასურველი ზნეობრივი გავლენა კოოპერატივის გარეშე მყოფ მასაზე. კულტურული მუშაობა ხდება ვიწრო ფარგლებში.

თფილისის კოოპერატივთა კავშირის ინს. სტეფანიანის მოხსენება: თფილისის კოოპერატივები თანდათან მრავლდებიან, მიუხედავათ იმისა, რომ კავშირი არ თანაუგრძნობს ასეთს სტიქიურ ზრდას, ბევრი კოოპერატივი გარდაიქცენ პარაზიტებათ ამ სიტყვის იმ მნიშვნელობით, რომ მათი ფუნქციები განისაზღვრება მხოლოდ იმით, რომ მიიღონ დამზადებული საქონელი და გაანაწილონ ეს საქონელი მომხმარებელთა შორის. შემდეგ მომხსენებელი ეხება საერთო ეკონომიურ კრიზისს და აღნიშნავს, რომ ეკონომიურ საკითხებში შეუძლებელია ამ დროებით მაინც გამოვეყოთ რუსეთიდან. კოოპერატივებმა უნდა გააძლიერონ აქტიური აპარატები, რასაც ისინი შესძლებენ, თუ მოახერხებენ საქონლის შეძენას გარეშე ბაზარზე. მომხსენებელი ეხება დივიდენდის განაწილების საკითხს და ამბობს, რომ საჭირო ამ საკითხის უფრო რადიკალურად გადაჭრა, ე. ი., რომ დივიდენდი ნაწილდებოდეს არა სამაიო თანხის მიხედვით, არამედ მ. წ. „ზაბორნი" წიგნაკის მიხედვით.

მოხსენებების დამთავრების შემდეგ საინსტრუქტორო განყოფილების გამგე ა. ერქომაიშვილი ლაპარაკობს მოხსენებების საერთო შთაბეჭდილების შესახებ. ერქომაიშვილი თავის სიტყვაში ეხება თითეულ ინსტრუქტორის მოხსენების დამახასიათებელ მხარეებს და არკვევს იმ აზრს, რომ ინსტრუქტორთა მოქმედება ვერ არის დამაკმაყოფილებელი. დასასრულ ერქომაიშვილი იძლევა წინადადებას, რომ მიღებული იქნეს შემდეგი პრაქტიკული ზომები: 1) განსაკუთრებით იქნეს გამოკვლეული ქუთაისის კოოპერატივი „დახმარება"; 2) მიღებული იქნეს ზომები, რომ გამოკვლეული იქნეს დამოკიდებულება ახალსენაკის რაიონის გამგეობისა და ინსტ. თოფურიძის შორის; 3) ლანჩხუთის ერობის ერთეულის ჩარევის შესახებ კოოპერატივის ცხოვრებაში წერილობითი მიმართვა სამაზრო ერობისადმი. 4) ვანის რაიონულ კავშირის შესახებ. ერქომაიშვილის სიტყვა იწვევს კამათს.

შედის რეზოლუციები ინსტრუქტორთა მოხსენებების შესახებ.

(შემდეგი იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

რკინის გზაზე

29 მაისს, ნატანებ სამტრედიას შუა მატარებელში კინაღამ უბედურება დატრიალდა. მატარებელი მგზავრებით სავსე იყო. ნიგოითის სადგურზე ზოგიერთი მგზავრები წყლის დასალევად გადმოვიდნენ. როცა მესამე ზარი დარეკეს და მატარებელი დაიძრა, მგზავრებმა ვაგონის კარებს სიჩქარით მიაშურეს და მეორე და მესამე კლასის ვაგონს ვეღარ არჩევდნენ. ერთი ადერბეიჯანელი მგზავრი, ინტელიგენტურად ჩაცმული, მეორე კლასის ვაგონში შევიდა. ამ დროს ვაგონის შესავალ კარებში იდგნენ სამი ინგლისელი ჯარისკაცები—ერთი ირლანდიელი და ორი ინდოელი. ადერბეიჯანელმა, როცა კარები შეაღო, ვაგონის კარი ინდოელს მიხვდა, უკანასკნელმა ეს იწყინა და ხიშტი ამოიღო მგზავრის დასარტყმელად, მგზავრმა ხალხი გაარღვია და მესამე კლასის ვაგონში შეაფარა თავი. ინდოელი მას ხიშტ ამოღებული გამოუდგა. ინდოელმა ადერბეიჯანელი ვერ იპოვნა და ვიღაც ქართველი მიამსგავსა მას, რომელსაც დაუპირა დარტყმა. შემთხვევით იქვე მყოფმა ქართველმა ოფიცერმა შეამჩნია, წინ აღუდგა და გადაარჩინა მგზავრი. ოფიცერი რომ იქ არ ყოფილიყო, ინდოელი აუცილებლად დასჭრიდა ან მოკლავდა ვისმეს.

ოგაკო გიორგაძე.

ს.-დემ. პარტიაში

ტფილისი. პირველი რაიონის ს. დ. მ. პ. ორგანიზაციების წარმომადგენელთა ყრილობა.

2 ამ თვეს ნაძალადევის თეატრის შენობაში გაიხსნა 1 რაიონის ორგანიზაციების წარმომადგენელთა ყრილობა. რაიონის კოლექტივის თავმჯდომარე ამხ. ბახტაძე დამსწრეთ მოკლედ უხსნის ყრილობის მოწვევის მიზანს და მოუწოდებს დელეგატებს ნაყოფიერ მუშაობისაკენ.

პრეზიდიუმში არჩეულ იქნენ თავმჯდომარეთ ამხ. ბახტაძე, ამხანაგეთ გიორგაძე, მდივანათ ფოფხაძე. სამანდატო კომისიაში: დოლიძე, ძნელაძე, მანჯგალაძე. ყრილობამ მიიღო კოლექტივის მიერ შემუშავებული დღიური წესრიგი: 1) მოხსენება მომენტზე; 2) პარტიული მუშაობა; 3) სასურსათო საკითხი და მუშათა კოოპერაცია; 4) პროფესიონალური კავშირები.

მოხსენებას აკეთებს სამანდატო კომისიის წევრი ამხ. ძნელაძე. ყრილობაზე არჩეულია 51 დელეგატი: 35 გადამწყვეტი და 8 სათათბირო ხმით. მთავარ სახელოსნოდან არჩეულია 23, საქონ. და სახალხო სადგურებიდან 18, რკინის გზის დეპოდან 7, ქვა-კოლექტივიდან 3, პირველ რაიონის კოლექტივიდან 3, სახალხო გვარდიის შტაბიდან 2. შემდეგ ამისა კოლექტივის მდივანი მოკლე ინფორმაციის სახით აცნობს ყრილობას კოლექტივის მდგომარეობას. ადგილებიდან პირველად აკეთებს მოხსენებას:

ძნელაძე. მთავარ სახელოსნოების წარმომადგენელი. პარტიული მუშაობა სუსტად მიმდინარეობს, დისციპლინა დაცემულია ხელმძღვანელ ორგანიზაციების დადგენილებას ხშირათ არ ემორჩილებიან.

მანჯგალაძე. დეპოს წარმომადგენელი: წინად პარტიული მუშაობა უკეთესად მიდიოდა. ეხლა გამეფებულია გულგრილობა.

გიორგაძე. საქ. და სახალხო სადგურების წარმომადგენელი: [illegible] გაერთიანებულია ერთ მთლიან ორგანიზაციაში. კრებებს მოწინავე მუშებიც სუსტათ ესწრებიან, ლექციები იკითხება. ზომები მიღებულია ლექციების სისტემატიურათ მოსაწყობათ.

შემდეგ მოხსენებას აკეთებს მომენტზე ამხ. ალექ. ლომთათიძე. მან გადაშალა მსმენელებს მთლიანი დასაბუთებული სურათი საგარეო და საშინაო პოლიტიკური მდგომარეობისა. მოხსენებამ ძლიერი შთაბეჭდილება დასტოვა მსმენელებზე და ყრილობამ საერთო ტაშით დააჯილდოვა მომხსენებელი. მოხსენების შესახებ კამათი გადაიდო შემდეგი სხდომისათვის.

მდივანი.

— 5 ივნისს, საღ. 6 საათზე, ამხ. გ. მაჭავარიანის თავმჯდომარეობით შედგა მეოთხე რაიონული კოლექტივის მორიგი სხდომა. სხდომამ განიხილა შემდეგი კითხვები: 1) საზოგადო კრების მოწვევა; 2) პარტიული მუშაობის გაძლიერება; 3) პ. ფ. ი. ლაფაჩიძის საქმის საგამომძიებლო კომისიის მოხსენება. პირველი კითხვის შესახებ სხდომა ადგენს ახლო მომავალში მოწვეულ იქნას საზოგადო კრება, სადაც საერთაშორისო მდგომარეობაზე მოხსენებას გააკეთებს ამხ. ვლ. ვოიტინსკი. პარტიული მუშაობის გასაძლიერებლად სხდომა საჭიროთ სცნობს ორშაბათს, საღ. 6 საათზე, მოწვეულ იქნას კოლექტივის და რაიონში არსებულ მცირე კოლექტივის შეერთებული სხდომა, რომელსაც დაესწრებიან იმ მუშების წარმომადგენლებიც, სადაც მცირე კოლექტივები არ არსებობენ. სხდომაზე განხილულ იქნება საკითხი ორგანიზაციული მუშაობის გაძლიერების შესახებ. მესამე კითხვის შესახებ თანახმად საგამომძიებლო კომისიის მოხსენებისა სხდომა ადგენს: 1) დაუყოვნებლივ გამოწვეულ იქნას პ. ფ. ი. ლაფაჩიძე ფრონტიდან და 2) საქმის გამორკვევამდე გადაყენებულ იქნას პარტიის წევრობიდან. შემდეგ სხდომა იხილავს კითხვებს და იხურება.

მ—ნი.

მუშათა შორის

ხელზე მოსამსახურეთა ცხოვრებიდან.

არცერთი დარგის მუშები ისეთ აუტანელ პირობებში არ იმყოფებიან, როგორც ხელზე მოსამსახურენი. მათი ერთად ერთი წარმომადგენელი და ინტერესების დამცველი პროფესიონალური კავშირია. პროფესიონალურ კავშირის მოღვაწეობა ა ყველა დარგის მშრომელთ მოვლინა მხნელად, მაგრამ ხელზე მოსამსახურენი თითქმის ისევ ძველ ბატონყმურ მდგომარეობაში იმყოფებიან. განსაკუთრებით იტანჯებიან ქალები ხაზეინების და სხვათა მათდამი უდიერი მოპყრობით. საჭიროა ყველა საქმის მცოდნე პირთა ამოქმედება, რათა შესაფერი ნაბიჯებით ბოლო მოეღოს საერთო გულგრილობას. საჭიროა ხელზე მსახურთათვისაც განისაზღვროს სამუშაო დრო.

ქ. დ.

„ერთობის“ 120 ნომერში მოთავსებულია ა. ბ.-ს ცილისწამებით აღსავსე წერილი. ა. ბ. კავშირის ორგანიზაციას აყენებს შეურაცხყოფას, პასუხისგებას კი გაურბის. თუ ა. ბ-ს ძალიან გული შესტკივა მზარეულთა კავშირისათვის, რატომ არ გამოჩნდება კავშირში, რატომ გვერდში არ ამოუდგება ამხანაგებს და არ უსწორებს შეცდომებს? ა. ბ. სწერს. ყველა კავშირებმა გაიუმჯობესეს ეკონომიური პირობები და სხვა. ნეტავი იცის თუ არა მან, რომ პირველი აპრილიდან მოხდა საერთო მომატება ჯამაგირებისა ყველა სასტუმროში მომუშავეთათვის, იცის თუ არა, რომ კავშირს აქვს ხაზეინებთან კოლექტიური ხელშეკრულება, იცის თუ არა, რომ სწორედ გამგეობა და მისი თავმჯდომარე ადევნებენ თვალყურს, რომ ხაზეინების მიერ უცვლელად შესრულებულ იქნას ხელშეკრულების მუხლები? მზარეულთა კავშირი, თვით თავმჯდომარის მოწყობილია, მას იცნობენ ყველა ამხანაგები.

კავშირის თავმჯდომარე ბესო დვალი.

პროვინცია

ოზ. დვირი. (ბორჯომის ხეობა): საქართველოს დამოუკიდებლობის ერთი წლის თავზე გაიმართა მიტინგი ი. პაპიძის თავმჯდომარეობით. მღ. ინასარიძემ მოკლეთ განუმარტა დამსწრე საზოგადოებას საქართველოს დამოუკიდებლობის წარმოშობის მიზეზები, და მნიშვნელობა. გამოტანილ იქნა შემდეგი რეზოლიუცია: საქართველოს დამოუკიდებლობის ერთი წლის შესრულების გამო ს. დვირის მიტინგი მიესალმება საქართველოს დემოკრატიულ მთავრობას, როგორც განმახორციელებელს ჩვენი დამოუკიდებლობის და ფიცს სდებს, რომ მომავალშიც მხარს დაუჭერს მის დაცვა-განმტკიცებას. ამასთანავე ვინაწილებთ საერთო გლოვას დაღუპულ კრების წევრის რაფიელ ჩიხლაძის უდროოდ დაკარგვის და გადავდებთ თანაგრძნობით შორის შეგროვილს მცირე წვლილს რაფიელის ობლების სასარგებლოთ. 188 მ. *)

მარკოზ კონტრიძე.

ს. შუხუთი. (გურია). 26 მაისის დღესასწაული საუცხოვოთ ჩატარდა. 12 საათზე ადგილობრივ სახალხო სახლში მოსწავლეების მიერ დადგმულ იქნა უფასო საბავშვო წარმოდგენა, რასაც მოჰყვა ბავშვების საუცხოვო ცეკვა-თამაში და შემდეგ დღის შესაფერი ლექსები. სცენაზე დაუკრეს ჩონგურიც. ლიტერატურული დილა დაიწყო და დასრულდა საგანგებოთ მომზადებული ეროვნული ჰიმნის („დიდება“) სიმღერით, ნაშუადღევს საათის შემდეგ გაიმართა დიდი მიტინგი. თავმჯდომარემ წაუკითხა ხალხს დამოუკიდებლობის აქტი. შემდეგ ამხ. ნ. იმნაიშვილმა გააცნო ხალხს დამოუკიდებლობის მნიშვნელობა და მისი ერთი წლის ისტორია. მიტინგის დახურვის შემდეგ გაიმართა დემონსტრაცია. მთელი დღის განმავლობაში გაისმოდა სიმღერები: გამართულ იქნა ეგრეთვე ცეკვა და ბურთის თამაში. ეგრეთვე [illegible] გამშვენებულ იქნა სადღესასწაულო გზები, წინკარები და სურათები. საღამოს ბავშვებმა გამართეს ლამპრობა. მხოლოდ ღამის 11 საათზე შეწყდა დღესასწაული, რომელშიაც 1000-მა სულმა მიიღო მონაწილეობა.

კენჭი.

ჭიათურა. სადღესასწაულო სამზადისი აქ დროზე დაიწყო ქალაქის გამგეობამ და ყოველგვარი ღონე მიიღეს, რომ 26 მაისი დიდებულად ჩატარებულიყო. ეს ასეც მოხდა.

ჭიათურის საზოგადოება ეს ნახევარი წელიწადია რაც აღშფოთებული იყო ერთი ვერაგული მკვლელობით; ის ისე გაჭიანურდა, რომ საზოგადოებამ თითქმის იმედიც დაკარგა სამართლიანობის, მაგრამ 24—25 მაისს მოულოდნელად გაიწვია საგანგებო სასამართლო და ორი დღის რჩევის შემდეგ, სასამართლოსაგან სამართლიანი მსჯავრი მოისმინა საზოგადოებამ: შ. ლეჟავას მკვლელებს პარიკმახერ პავე ანიძეს, სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტეს და რიკრიკაძეს 20 წ. კატორღა.

ეს გაზაფხული მეტის მეტათ წვიმიანი შეიქნა, რაიც ძალიან ხელს უშლის მხვნელ მთესველთ. წვიმს განუწყვეტლივ, თითქმის ყოველ დღე. დაუთესავია ყანები. ვინც იძალა, ნათესი მიწაში ლპება. წაბლა ხეხილი, ვენახებმაც ფერი იცვალა, რასაც წამლის დროზე მიუდგომლობამაც მიუთავა ხელი.

საზოგადოდ უნდა ითქვას, რომ კოოპერატივებს ძალიან გაუძნელდათ პირდაპირ და სიჩქარით საქონლის მიღება: კავშირი, თუ სხვა მსგავსი საბაჟოები დიდათ აფერხებენ საქონლის ჩქარა მიღებას და თან ბევრ ხელში გამოვლილ საქონელს, საზღაპრო სიძვირით იღებენ მომხმარებელი, რაიც მძიმე ტვირთათ აწვება უმეტეს დემოკრატიას.

საჭიროა ამას ყურადღება მიექცეს, თუ კოოპერატივის მოთავენი ვერ შესძლებენ ამას, ერობამ მაინც უნდა აიღოს თავზე, ან კოოპერატივებმა გაიკაფონ თავისუფალი გზა.

ელი ხანი.

წერილი რედ. მიმართ

მესხეთ-ჯავახეთის დამხმარე კომიტეტის სასარგებლოთ შემოსწირეს: 1) ლ. ასათიანმა 50 მან., 2) პირველ ვაჟთა გიმნაზიის ქართველ მასწავლებლებმა 147 მ. 51 კ., 3) ქუთაისის ბანკმა 100 მან., 4) ქუთაისში არსებულ მუშათა საბჭოს მოწყობილ ქალთა საზოგადოებამ 4000 მან., 5) ქუთაისის ქალთა ინტერპარტიულ საზოგადოებამ 3000 მანეთი.

კომიტეტი უღრმეს მადლობას სწირავს შემომწირველთ.

---

*) შემომწირველთა სია უადგილობის გამო არ იბეჭდება.

განცხადება

შვილი [illegible] სახლიდან წავიდა და მის აქეთ არ დაბრუნებულა 15 წლის ვაჟი ვანო ნესტორის ძე კორძაია (პირის სახეზე ნაყვავილევი აჩნია). მე დიდად ვთხოვ თუ ვინმემ იცის მის შესახებ მაცნობოს შემდეგი ადრესით: ქ. ტფილისი გოგოლის ქუჩა სახლის № 48. ბინის № 16 მარიამ კორძაიას [illegible] მიიღებს საჩუქრად 300 მანეთს ფულად და უღრმეს მადლობას.

საყურადღებოთ!

ტფილისში გადასახლების გამო, ქალ. ლანჩხუთში, სადგურთან ახლოს ვყიდით უძრავ და მოძრავ ქონებას, რასაც შეადგენს: მოზრდილი მოშენებული ეზო, სამთავლი ოდა, სამზადი სახლი და სხვა.

პატივისცემით ძმები: გიორგი და ლადიკო შერთაიები. (5—8)

ექიმი **ლ. ა. ხარაძიძე**
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებებით ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5—7 საათ. ჩერქეზიშვილის ქუჩა № 37, ავჭალის აუდიტორიის ახლოს.

ექიმი **მ. შ. მზაღობლიშვილი**
ქალისა და [illegible] ავადმყოფებს მიიღებს ყოველ დღე საღ. 5—7 საათ. ოლღას ქ. № 41, ტელ. 12—75.

ექიმი **ლ. ი. ცაგარელი**
შინაგანი სნეულებანი. იღებს ავადმყოფებს საღ. 5—7 ს. პუშკინის ქუჩა, № 9.

ექიმი ქალი **რ. შ. ზიზლო-საბაშვილი**
მედიცინის დოქტორი ჟენევის უნივერსიტეტისა და ქალთა მედიკურ ქირურგიულ კოლეჯისა. იღებს ყოველ დღე შინაგან, ქალის და ვენერიულ ავადმყოფთ და იძლევა საექიმო დარიგებებს. სიფილისის წამლობა ახალი მეთოდებით. დილის 10—12 ს. და საღამოს 6—7 საათ. მიხეილის პრ. № 119, ტელეფონი № 9—26.

მედიცინის დოქტორი ბერლინის უნივერსიტეტისა **მ. ბ. მიზრაბიანცი**
შინაგანი ავადმყოფობა, ფილტვისა და გულისა. იღებს ახალ რენტგენის—ელექტრო წამლობის კაბინეტში; გასინჯვა და წამლობა X-ს სხივებით, დიდი სოლლუქსით და არსონვალის ტოკით ფილტვების, გულის და სხვა შინაგანი ავადმყოფობისათვის. ღარიბებს უფასოთ. ყოველ დღე დილის 9—1 საათამდე და საღამოს 5—8 საათ. ბებუთოვის ქ. № 28, ტელეფ. 7—92.

ექიმმა **ი. ბ. [illegible]**
განაახლა მიღება ბავშვთა და შინაგან სნეულებით ავადმყოფებისა. ავადმყოფებს იღებს დილის 8—10 და საღამოს 5—7 საათამდე, გრიბოედოვის ქუჩა №, ტელ. 4—15.

ექიმი **ი. ა. შაფრანი.**
[illegible] სიფილისი და მისი შედეგები (შეშხაპურებით „606“ და „914“), ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი. ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილის 8—11 და საღამოს 5—8 საათამდე. ქალებს ცალკე 4—5 საათამდე. კვირაობით მხოლოდ დილით. მისამ: ოლღას ქ. № 33.

ექიმი **მ. ი. ბარათიანი**
იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულებით ავადმყოფთ ყოველ დღე საღ. 5—7 საათამდე. ბინა ოლღას ქუჩა № 24, ტელეფ. 1—85

ექიმი **დ. ი. ჟაფარიძე**
ღებულობს შინაგან, ყურის, გულის და ცხვირის სნეულებით ავადმყოფებს დილის 12—1 საათ., საღამოს 5—6 საათ. მისამართი: მადათოვის ქ. № 7 ალექსანდროვის ბაღის პირდაპირ, ტელეფონი 16—65.

კბილის ექიმი **აპოლონ პავლეს ძე ბურუშაძე** ღებულობს ავადმყოფებს ყოველ დღე 9—1 და საღამოს 4—7 საათ. გოლოვინის პროსპ. 34. ტელ. 10—81.

განცხადებანი

ქ. ი. ზუბალაშვილის სახელობის ქალაქის

სახალხო სახლი

სახ. სახლ. არხ. ქართ. წარმ. მმართველი წრე.
კვირას 8 ივნისს წარმოდგენილი იქნება:

I

მადაროს უფროსი მუშა

დრამა 1 მოქმედ. თარგმნილი გოცირიძისა.

II

სიძე სიმამრი

კომედია 3 მოქმედებათ: ვ. გუნია.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნი: თ. გოგოლაშვილი, ნ. ნინუა, ს. რომანიშვილი-დეგიბუაძისა; ბბ. ნ. გოცირიძე, ი. მინდიაშვილი, ა. მეტრეველი, ა. თავდგირიძე, თაზიშვილი.
რეჟისორი კ. შათირიშვილი.

ადგილების ფასი 5 მან. 50 კ. 1 მ-დე ბილეთების კასა ღიაა ყოველ დღე დილის 10—12 ს. და საღ. 6—8 ს-მდე. დასაწყისი საღ. 8 ს.

კვირას, თიბათვის 8-ს 1919 წ. გაიმართება

შეჯიბრება ბურთაობაში

(ფუტ-ბოლში) ტფილისის და ბათუმის მოთამაშეთა შორის. ტფილისის სახელოვნობას დაიცავს ტან-ვარჯიშის საზოგადოება **შევარდენი.** შეჯიბრება მოხდება ყოფილ სამხედრო სასწავლებლის ეზოში (მიხ. პროსპ. კინემ. „აპოლო“ ს პირდაპირ) დაიწყება ზუსტად საღამოს 5 საათზე. ბილეთების ფასი დიდებისათვის—5 მ., მოსწავლეთა და ჯარისკაცთათვის 3 მან. ბილეთები იყიდება კვირას მოედანზე შესასვლელ კარებში. შეჯიბრებას ავდარი ხელს არ შეუშლის. შეჯიბრების დროს დაუკრავს სამხედრო მუსიკა. (1—1)

ძლიერ საჭიროდ

ტფილისის მაზრის ერობის ხმოსანთა საყურადღებოთ.

მესამე სესია

ტფილისის მაზრის ერობის ხმოსანთა საბჭოსი **მოწვეულია**
(2—1) გამგეობის მიერ ამა წ. 22 თიბათვეს გამგეობის ბინაზე.
გამგეობა.

განცხადება

კინემატოგრაფიული ქარხანა **„კოლხიდა“**

ტ. ი. გაბელიასი. ტფილისი, მიხეილის პროსპ. № 131. მაქვს პატივი ვაცნობო პატივცემულ საზოგადოებას, რომ „კოლხიდის“ მიერ გადაღებული კინემატოგრაფიული არშია:

საქართველოს დამოუკიდებლობის წლის თავის დღესასწაული

ქ. ტფილისში 26 მაისს“, რომელიც აურაცხელ საზოგადოების თანადასწრებით ჩატარდა ქ. ტფილისში, ნაჩვენები იქნება სულ ახლო მომავალში: ქუთაისში, ფოთში, სოხუმში, ბათუმში, ლანჩხუთში, სამტრედიაში, ახალსენაკში, გორში, ჭიათურაში, ბორჯომში, ახალციხეში და სხვ.

[illegible]